CONTEMPORARY EDUCATION ACADEMY

WE CHANGE THE WORLD

კლუბის სახელწოდება: **ჭადრაკის კლუბი**

კლუბის ხელმძღვანელი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, მეილი):

გიორგი გულორდავა 571 04 54 81; giogulo000@gmail.com

კლუბის გაკვეთილების რაოდენობა: **კვირაში ორჯერ**

თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა: **50 წუთი**

კლუბში გაწევრიანების წინაპირობა: **კლუბში გაწევრიანების მსურველებს უნდა გააჩნდეთ სპორტის ამ სახეობის მიმართ ინტერესი.**

მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა: **მინიმუმი 6 / მაქსიმუმი 14.**

კლუბის მიზანი: **ჭადრაკის კლუბში ბავშვებს საშუალება მიეცემათ დაეუფლონ ჭადრაკის თამაშის პრინციპებს, ჩამოუყალიბდეთ ანალიტიკური აზროვნება, შეძლონ ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.**

ძირითადი მიდგომები, მეთოდები, აქტივობები: **წინასწარ გაწერილი სილაბუსის მიხედვით მოსწავლეებს ჩაუტარდებათ, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული გაკვეთილები. უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული იქნება კონსტრუქტივისტული მიდგომები, რის საფუძველზე მოსწავლეები ისწავლიან აზროვნებასა და დაგროვილი გამოცდილების პრაქტიკული იმპლემენტაციის საშუალებით განუვითარდებათ შემეცნების უნარი, აქედან გამომდინარე მოსწავლე აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში და მარტივად ითვისებს ახსნილ მასალას. ცოდნის დემონტრირებისთვის კი სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ისეთ აქტივობებში, როგორიცაა კომპოზიციების ამოხსნა და სასკოლო ტურნირი.**

ძირითადი რესურსები: **სადემონსტრაციო საჭადრაკო დაფა, სამაგიდო ჭადრაკის დაფა, საჭადრაკო საათი, საჭიროების შემთხვევაში სხვა ტექნიკური მხარდაჭერა (კომპიუტერი, პროექტორი).**

კლუბის მუშაობის შუალედური და საბოლოო შედეგები (მუშაობის პროდუქტის წარმოდგენის პერიოდი, ფორმა): **კლუბის მუშაობის შუალედურ პერიოდში, პირველი სემესტრის დასასრულს, მოსწავლეებს ეცოდინებათ ძირითადი საჭადრაკო პრინციპები, დამოუკიდებლად შეძლებენ კომპოზიციების ანალიზს, მათი ცოდნის შესამოწმებლად კი ჩატარდება კლუბის ჩემპიონატი საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში. სასწავლო სემესტრის დასასრულს კი მოსწავლეები შეძლებენ თავიანთი ცოდნა და შესაძლებლობები გამოავლინონ შიდა სასკოლო ჩემპიონატში.**